

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## საკომუნიკაციო უნარების განვითარება თვალსაჩინოების დახმარებით

შინჯიკაშვილი იამზე

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

### რეზიუმე

უცხოური ენის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია მრავალფეროვან სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ამიტომ უცხოური ენის მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლეს მისცეს ისეთი განათლება, რომ მან შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან.

დღეს პედაგოგი მუდმივად სიახლეების ძიებაშია. ეფექტური სწავლების სამ ელემენტზე (საგნის სწავლების გეგმა, კლასის მართვის მეთოდები, სწავლების მეთოდები) და აგრეთვე ჩვენსა და ჩვენი კოლეგების გამოცდილებაზე დაყრდნობით ვიყენებთ იმ მეთოდებს, რომლებიც გააუმჯობესებენ მოსწავლეების საკომუნიკაციო უნარების დონეს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, რამდენიმე ეფექტურ მეთოდზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, გრამატიკული ფორმების ცოდნის გაღრმავებას და კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებას. არსებული ცოდნის საფუძველზე კი მოსწავლე შეძლებს უცხოური ტექსტის გაგებას, სწორი დასკვნის გამოტანას და ნასწავლის გამოყენებას საკომუნიკაციო სიტუაციისას სხვა კულტურის წარმომადგენლებთან.


**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია, ეფექტური სწავლების ელემენტები, თვალსაჩინოებით სწავლება.

თანამედროვე საჯარო სკოლებში უცხოური ენის შესწავლის მთავარი მიზანია, მოსწავლემ შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან. წარმატებული კომუნიკაციის მისაღწევად კი აუცილებელია, რომ მოსწავლე კითხულობდეს კარგად, ჰქონდეს ლექსიკური მარაგი, რომელიც დაეხმარება გააზრებაში და ბოლოს, აუცილებელია ასევე გრამატიკული ფორმების ცოდნა, რათა მისი მეტყველება და წერა იყოს გამართული და სწორი.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials



ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სწორად გამოვიყენოთ ეფექტური სწავლების სამი ელემენტი: საგნის სწავლების გეგმა, კლასის მართვის მეთოდები, სწავლების მეთოდები. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ და ვისაუბრებთ იმ აქტივობებზე, რომელიც ჩემი და ჩემი კოლეგების გამოცდილებიდან გამომდინარე უფრო შედეგიანი და ეფექტურია. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ისეთი აქტივობების სიმრავლეს, რომლებიც თვალსაჩინო მასალით სწავლებას ეფუძნება, რადგან მოსწავლეები ვიზუალურ მასალას უფრო იოლად აღიქვამენ და დიდხანს ახსოვთ. ვინაიდან ჩვენ სახელმძღვანელოებში თვალსაჩინო მასალის ნაკლებობაა, ვთვლით, რომ ილუსტრირებული მასალის მასწავლებლებისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შექმნა მოსწავლეებში მოტივაციასაც აამაღლებს და სწავლის შედეგსაც, ხოლო მასწავლებელს საშუალებას მისცემს დაადგინოს, რამდენად კარგად წაიკითხეს, გაიაზრეს, აითვისეს ლექსიკური მარაგი და როგორ იყენებენ ამ ყველაფერს კომუნიკაციისას.

მიგვაჩნია, რომ უცხოური ენის შესასწავლად უკეთესი შედეგი მოაქვს სმენისა და მხედველობის ერთდროულ მოქმედებას. ამიტომ ვიყენებთ აქტივობას, როდესაც მოსწავლე ისმენს ტექსტს დახვეწილი მეტყველებით და თვალთ კითხულობს იგივე ტექსტს მოცემულ სლაიდშოუზე. ამ აქტივობის განხორციელების შემდეგ მოსწავლის მოტივაცია მაღალია და ტექსტის ხელახალი წაკითხვისას ის ნაკლებ შეცდომას უშვებს, რაც მის მეტყველებაზეც ისახება. წაკითხვის დროს მოსწავლეებს ვამბებინებთ ასო „o“, „d“, „m“, „ero“, რომლებიც იკითხება როგორც „a“, „d“, „წ“, „ebo“, ვადგენინებთ ბარათებს,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ვაფერადებინებთ სიტყვებში ამ ადგილებს და ვიყენებთ თვალსაჩინოებად. მათ არასოდეს ავიწყდებათ ამ სიტყვების სწორად გამოთქმა.

გაკვეთილებზე სპეციალურად გამზადებულ ცხრილებში ვაჯგუფებინებთ მოსწავლეებს სიტყვებს, რომლებსაც მახვილები I, II და III მარცვლებზე აქვთ. ვათავსებთ მათ ნამუშევარს თვალსაჩინო ადგილზე. სასწავლო პროცესში ცხრილის, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება, იწვევს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ზრდას და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

დიდ ემოციებს და შრომისმოყვარეობას ვხედავთ ჩვენს მოსწავლეებში, როდესაც ვამუშავებთ ისეთ აქტივობაზე, როგორცაა ილუსტრაციებზე სინონიმებისა და ანტონიმების მიწერა ან პირიქით, ანტონიმებსა და სინონიმებზე ილუსტრაციების გაკეთება. ეს აქტივობა კარგი საშუალებაა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შესამოწმებლად.

რებუსები გვეხმარება არა მარტო იმაში, რომ გავხადოთ გაკვეთილი მოსწავლეებისათვის საინტერესო, სახალისო და აქტიურად ჩავრთოთ ისინი საგაკვეთილო პროცესში, არამედ იმაშიც, რომ განვითარდეს მათი სააზროვნო უნარები. რებუსების დახმარებით მოსწავლეები იოლად სწავლობენ მეტყველებაში წინდებულებისა და ნაწილაკების გამოყენებას, არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელების სწორად ბრუნებას, ზმნის სწორად უღლებას.

ასეთი აქტივობების ჩატარების შემდეგ ვამუშავებთ მოსწავლეებს შედარებით უფრო რთულ აქტივობებზე. მათ ნაწილებად დაყოფილ ტექსტს უნდა გაუკეთონ ილუსტრაციები და წარმოადგინონ პრეზენტაციის სახით ან პირიქით ილუსტრაციებს, რომლებსაც გამზადებთ მათთვის შეუდგინონ პატარა ტექსტი (რათქმაუნდა, მასალასთან შესაბამისობაში).

დადებით ემოციებს იწვევს აქტივობა, როდესაც მოსწავლეები, საგაკვეთილო მასალიდან გამომდინარე, ილუსტრაციების მიხედვით ადგენენ კითხვებს ერთმანეთისათვის და შემდეგ მუშაობენ ჯგუფებში პასუხების მომზადებაზე. ისინი არიან მოტივირებულნი, როდესაც ამა თუ იმ თემის დამთავრების შემდეგ ადგენენ კროსვორდებს ერთმანეთისათვის და მუშაობენ წყვილებში ან ჯგუფებში.

ამრიგად, თვალსაჩინოების დახმარებით განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, გრამატიკული ფორმების ცოდნის გაღრმავებას, კითხვის ტექნიკის დახვეწას და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. ადვილად მოხდება მოსწავლის მრავალფეროვან სივრცეში ინტეგრირება და შეძლებს კომუნიკაციას სხვა კულტურის წარმომადგენლებთან.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ეს გ
2. ლორთქიფანიძე მ. ჩხეიძე ი. ჩიმაკაძე თ. „მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო“ ს. I, II, III.
3. Русский язык в грузинской школе 1984-85г Министерство просвещения Грузии.
4. Русский язык в национальной школе.  
(Академия наук СССР 1985-1986г).